

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავლენა წერითი მეტყველების კულტურაზე

ქეთევან აფთარაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებების დოქტორანტი

ანოტაცია:

ნაშრომის მიზანია, წერითი მეტყველების კულტურაზე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავლენის წარმოჩენა, პრობლემის იდენტიფიცირება და პროფესიული საზოგადოებისთვის ჩვენეული მოკრძალებული რეკომენდაციების შეთავაზება. სტატიაში საუბარია წერითი მეტყველების კულტურის რაობასა და მის მნიშვნელობაზე. ვიზიარებთ რა ისტ-ის უდიდეს დანიშნულებას თანამედროვე საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში, ამავდროულად ვაცნობიერებთ ხელით წერის აუცილებლობას და გვერდს ვერ ვუვლით იმ საფრთხეებზე საუბარს, რაც შესაძლებელია მოჰყვეს თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება კი ექცევა, წერითი მეტყველების დევექტების დიაგნოსტიკის მიზნით, პირველი კურსის სტუდენტების წერითი ნამუშევრების ანალიზს. ამ საკითხის შესწავლა, ვფიქრობთ, მეტ შესაძლებლობას მოგვცემს უკეთესად გავერკვეთ წერითი მეტყველების როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებში. არსებული რეალობის ცხადყოფით, მასწავლებლები და მეთოდისტები ერთობლივად გაიზიარებენ და დასახავენ პრობლემის გადაჭრის გზებს, საშუალებებს.

საკვანძო სიტყვები: ისტ, ციფრული წიგნიერება, წერითი მეტყველების კულტურა, დისგრაფია, ტრანსლიტერაცია, სიტყვის წერის პროცესი.

XXI საუკუნეში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ-ის) გარეშე წარმოუდგენელია პროგრესი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. დღეს ისტ-ის გამოყენება მნიშვნელოვანია ციფრული წიგნიერების შესაძენად. ციფრული წიგნიერება იგივეა, რაც კომპიუტერული წიგნიერება. თანამედროვე მსოფლიოში საკომუნიკაციო და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ წიგნიერების ცნება კიდევ უფრო გააფართოვა. იგი ამჟამად მოიცავს ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავებისა და ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარსაც, რასაც მთლიანობაში ციფრული წიგნიერება ეწოდება [1]. მართალია, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების გამომუშავებას, მოტივაციის ზრდას მოსწავლეებში, მათი საშუალებით შესაძლებელია თვალსაჩინოებების შექმნა, მაგრამ გარდა ამ და სხვა დადებითი მახასიათებლებისა, შესაძლებელია, მისი აქტიური გამოყენების შედეგად გაუარესდეს წერითი მეტყველების კულტურა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკვლევი თემის ფარგლებში ჩვენი მიზანია ვისაუბროთ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე:

- წერიტი მეტყველების რაობისა და დანიშნულების განსაზღვრა;
- წერიტი მეტყველების ფორმირების საკითხი ისტორიულ ჭრილში;
- დავადგინოთ, რა გავლენას ახდენს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები წერიტი მეტყველების კულტურაზე, უფრო კონკრეტულად კი - ხელით წერაზე.

მოგეხსენებათ, ანბანის შემოღებამდე ადამიანები ურთიერთკავშირს მხოლოდ ზეპირი გზით ამყარებდნენ. წერის აუცილებლობა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ მოითხოვა, მაგრამ იგი ერთბაშად არ შექმნილა. უძველეს ცივილიზაციებში წიგნიერება პიქტოგრამებისა და სასცენო კოლაჟების ამოკითხვას, ამ გამომსახველობითი ფორმებით წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავებასა და გააზრებას მოითხოვდა. შუმერულ და ასურულ ცივილიზაციებში ამ უნარ-ჩვევას მხოლოდ მეცნიერთა და სასულიერო პირთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ფლობდა. მოგვიანებით, კლასიკურ საბერძნეთსა და რომში, წერა-კითხვა და საბაზისო მათემატიკური კომპეტენცია საზოგადოების შეძლებული ფენის პრივილეგია გახდა. შემდეგ, შუა საუკუნეების ევროპაში, სასულიერო სწავლების გავრცელებას, რენესანსსა და ბეჭდვითი ტექნიკის განვითარებას წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობის მატება მოჰყვა, მე-19 და მე-20 საუკუნეებში კი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სავალდებულო სასკოლო განათლების პოლიტიკამ წერა-კითხვის ფართო მასებში გავრცელება მოიტანა.

საინტერესოა, როგორ განმარტავდნენ წერიტი მეტყველებას ადრე და რას გულისხმობენ ახლა მის შინაარსში. წერა ბგერების, ფონემების, სათანადო გრაფიკული ნიშნით, ასოებით აღნიშვნაა. წერიტი მეტყველება გულისხმობს, როგორც წერის- ასოების სწავლას, აგრეთვე ტექსტის სტრუქტურულ აგებას, დასაწყისის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნის გამოკვეთას, ფორმისა და შინაარსის შესაბამისობას, ტექსტის ორგანიზებას, აზრების სწორად გამოყოფასა და მათ შორის ლოგიკურ კავშირს. აგრეთვე იმას, რამდენად მიესადაგება ტექსტის შინაარსი სათაურს. წერიტი მეტყველება გულისხმობს სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნას და მის გამართვას მორფოლოგიური, პუნქტუაციური, სინტაქსური და სტილისტური თვალსაზრისით. წერა არის „მონოლოგიური მეტყველების ფორმა. იმის გამო, რომ წერიტი მეტყველების პროცესში თანამოსაუბრესთან უკუკავშირი არაა, იგი სტრუქტურულად უფრო რთულია, ვიდრე ზეპირი მეტყველება. იგი მოკლებულია ჟესტებს, მიმიკას და ინტონაციას” [2].

ასე განმარტავდნენ წერიტი მეტყველების რაობასა და მნიშვნელობას 80-90-იან წლებში. ახლა კი მკვლევარი მათ ნინასარიძე აღნიშნავს, რომ „თანამედროვე დიდაქტიკის კონცეფცია ეფუძნება შემდეგ პრინციპს: ენა კომუნიკაციისა და სოციალური ინტერაქციის იარაღია. შესაბამისად, ენის სწავლების შინაარსი განისაზღვრება მოქალაქეთა კომუნიკაციური საჭიროებების გათვალისწინებით, მოქალაქეებს კი კომუნიკაციის დამყარება ესაჭიროებათ, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. ასეთ პერსპექტივაში კომუნიკაცია აღარ არის მხოლოდ ზეპირმეტყველების პრეროგატივა. არანაკლებ მნიშვნელოვანია წერიტი მეტყველების დაუფლება. ასე რომ, თანამედროვე დიდაქტიკის თვალსაწიერიდან წერის სწავლება ნიშნავს კომუნიკაციის

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

სწავლებას წერის საშუალებით, გულისხმობს საკომუნიკაციო სიტუაციის არსებობას, რომლის მთავარი კომპონენტებია:

1. ავტორი ანუ ადრესანტი (ვინც წერს).
2. ადრესატი ანუ მკითხველი (ვისთვისაც წერენ/ვისაც წერენ);
3. კომუნიკაციის მიზანი (რისთვისაც წერენ)“ [3].

ასეა განსაზღვრული სამეცნიერო ლიტერატურაში წერითი მეტყველების რაობა. რაც შეეხება მის *მნიშვნელობას*, წერა ადამიანთა ურთიერთობის ისეთი საშუალებაა, რომელსაც ვერ ზღუდავს დრო და სივრცე. ნაწერი ადამიანის არა მარტო წერის ტექნიკის ჩვევათა ხარისხზე მიგვითითებს, არამედ დამწერის ზოგად განათლებაზე, მისი საერთო კულტურის დონეზე [4]. წერამ შეუწყო ხელი სწავლა-განათლების შემოღებასა და გავრცელებას, ლიტერატურის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის სწრაფ აღმავლობას. მისი საშუალებით ხდება აზროვნების კონკრეტულ თემაზე ფოკუსირება. მოსწავლემ ბევრი უნდა იფიქროს იმ საკითხზე, რომლის შესახებაც წერს, აუცილებლად უნდა განსაზღვროს მიზანი, აუდიტორია და შესაბამისად გადაწყვიტოს რა უნდა თქვას და როგორ. წერითი მუშაობა ავლენს მოსწავლეთა ლიტერატურულ-გრამატიკულ ცოდნას, ამჟღავნებს მათი განათლების საერთო დონეს, აზრების ლოგიკურად გადმოცემის უნარს, არკვევს ხარვეზებს, რომლებიც მათს ცოდნას ჯერ კიდევ თან ახლავს და ამით მასწავლებელს საშუალებას აძლევს დროულად მიიღოს გადამჭრელი ზომები ამ ხარვეზების შესავსებად. წერის პროცესი მოსწავლეს ცნობისმოყვარეობას უღვიძებს და მეტის გაკეთების სურვილი უჩნდება, უვითარდება დაკვირვების უნარიც. დღესდღეობით, სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად შევხვდებით შემდეგ მსჯელობას, რომ წერა ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ეს ნამდვილად ასეა, რადგან, წერის პროცესში მოსწავლე მსჯელობს გამოთქმული აზრების შესახებ, შეუძლია ქაღალდზე დაწერილის შეცვლა, დამატება და ა.შ. გარდა ამისა, ზეპირი მეტყველებისაგან განსხვავებით, წერის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია საკუთარ განვითარებაზე დაკვირვება, უკეთ დაინახავს პროგრესს, რომელიც მას ექნება სწავლის პროცესში. უნდა აღინიშნოს, რომ ზეპირ მეტყველებას წერითთან შედარებით გაცილებით მეტი შესაძლებლობები გააჩნია: ადამიანი ზეპირი საუბრისას უშუალოდ მოქმედებს მსმენელზე, ამყარებს მასთან საჭირო კონტაქტს, იწვევს მასში სათანადო ემოციებს. ამ ყველაფრის მაგივრობა კი წერითი მეტყველების შემთხვევაში ნაწერმა უნდა გაწიოს, სწორედ ამიტომ, იგი ძლიერ ზუსტად და მართებულად უნდა გამოხატავდეს აზრს, მთლიანად გადმოსცემდეს სათქმელს და, რაც უმთავრესია, გამართული იყოს გრამატიკულად და სტილისტურადაც.

როგორც ცნობილია, წერა რთულად ორგანიზებული ფსიქიკური ოპერაციაა, რომლის დაუფლებაც მრავალი უნარის კოორდინირებულ განვითარებასაც გულისხმობს. წერის უნარის ათვისება წარმოადგენს გაცნობიერებულ აქტს, რომლის დაუფლებაც სპეციალურად დაგეგმილი დასწავლის პროცესში ხორციელდება. წერის უნარის ფლობა მოითხოვს წერის ტექნიკის წინაპირობების გავარჯიშებასა და მხოლოდ გარკვეული დროისა და გაწაფვის შემდეგ ხდება ის ავტომატიზებული პროცესი [5]. წერით მეტყველებას საფუძველი დაწყებით კლასებში ეყრება. ეს პერიოდი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ისეთი საფეხურია, სადაც მოსწავლე იღებს პირველად ცოდნა-ჩვევებს კითხვაში, წერაში, ზეპირმეტყველებაში, გრამატიკაში,

მართლწერასა და პუნქტუაციაში. ამ პერიოდში მიღებული ცოდნა-ჩვევა მოსწავლის შემდგომი წარმატების მტკიცე საფუძველია. არაერთგზისაა დადასტურებული, რომ დაწყებით საფეხურზე მიღებული ცუდი ჩვევა კითხვასა თუ წერაში, არა მხოლოდ ძნელად დასაძლევია ხდება შემდეგ კლასებში, არამედ ზოგჯერ სიბერემდეც გასდევს ადამიანს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ მეტად მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება წერითი მეტყველების განვითარებაზე. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თანამედროვე ეპოქაში, სამწუხაროდ, ხელით წერის ტრადიცია ნელ-ნელა მნიშვნელობას კარგავს და მას სულ უფრო ხშირად კომპიუტერი ენაცვლება. წერითი მეტყველების განვითარებისათვის, მუშაობის სწორად წარმართვის მიზნით, საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორია ფაქტობრივი მდგომარეობა, რა და რა შეცდომები გვხვდება ნაწერებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ზეგავლენის შედეგად. ამ საკითხის შესწავლა, ვფიქრობთ, მეტ შესაძლებლობებს მისცემს მასწავლებლებს უკეთესად გაერკვნენ წერითი მეტყველების როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებში. არსებული რეალობის ცხადყოფით, მასწავლებლები და მეთოდისტები ერთობლივად გაიზიარებენ და დასახავენ პრობლემის გადაჭრის გზებს, საშუალებებს.

არსებული მდგომარეობისა და წერითი მეტყველების დეფექტების დიაგნოსტიკის მიზნით შევისწავლეთ პირველი კურსის სტუდენტების წერითი ნამუშევრები, ვინაიდან ეს ის ასაკია, როდესაც მათს ცხოვრებაში უკვე საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ისტ-ს და მისი უარყოფითი ზეგავლენის კვალიც, რა თქმა უნდა, არსებობს შემთხვევებში, დაფიქსირდებოდა. გასაანალიზებლად ჩვენ ხელთ გვქონდა 95 ესეს ტიპის წერითი ნამუშევარი. მოგეხსენებათ, წერითი მეტყველების შეცდომები შესაძლებელია იყოს ფორმალური, კალიგრაფიული, ორთოგრაფიული, სინტაქსიური, პუნქტუაციური, სტილისტიკური, ლოგიკური, ფაქტობრივი, კომპოზიციური, თემატიკური და შინაარსობრივი [6]. ჩვენ მოცემული საკვლევი თემის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ იმ ტიპის შეცდომებზე, რომელებიც, ჩვენი ვარაუდით, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავლენის შედეგად შეიძლებოდა წარმოქმნილიყო. აღმოჩნდა, რომ 95 სტუდენტიდან 17%-ს ფონემა გრაფიკულად არასწორად ჰქონდა გამოსახული. განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევები:

1. **ზ/ძ:** ზალიან/ ძალიან, ზვირად/ძვირად, ზველთაგანვე/ძველთაგანვე...
2. **ვ/ღ:** აგება/აღება, რაგაც/რაღაც, იგლებიან /იღლებიან...
3. **ტ/თ:** ასეტ /ასეთ, ჩვენტაგანს/ ჩვენთაგანს...
4. **ც/ჩ:** დაემორცილება /დაემორჩილება...
5. **ჩ/ჭ:** საჩიროებს / საჭიროებს...
6. **ქ/ყ:** საქვარელი/საყვარელი...
7. **ქ/კ:** ქეთილდღეობა/კეთილდღეობა...
8. **ფ/პ:** ფროფესიონალიზმი /პროფესიონალიზმი...
9. **ს/შ:** სენ/შენ...

სტუდენტების ნაწერებში სტატისტიკურად უფრო ხშირი იყო **ღ/გ**, **ზ/ძ** და **ტ/თ** ფონემების აღრევის შემთხვევები. ყველა ზემოთ წარმოდგენილ მაგალითში სახეზე გვაქვს წერითი მეტყველების კულტურაზე ისტ-ის უარყოფითი ზეგავლენის შედეგი.

მოგეხსენებათ, ტელეფონით თუ კომპიუტერის საშუალებით კომუნიკაციის, წერის დროს მომხმარებლები ქართულ ასოებს ასახვენ ლათინური (ევროპულ ენათა) ანბანური ნიშნით. ტრანსლიტერაცია (ერთი ენის ასო-ბგერის ასახვა, ამ შემთხვევაში ქართულის, მეორე ენის ანბანური ნიშნებით) აქტუალურია პრაქტიკული თვალსაზრისით, ვინაიდან ქართული შრიფტით წერისას მათ აღარ უწევთ „თ“, „ღ“ თუ სხვა ისეთი ფონემების გამოსახატად, რომელთაც კლავიატურაზე არ მოეპოვება შესატყვისი, დამატებითი ძალისხმევის გაღება. იმისთვის, რომ უკეთ გავერკვიოთ პრობლემის არსში, დეტალურად წარმოვიდგინოთ, როგორ ხდება *სიტყვის წერის პროცესი*. პირველ ეტაპს სიტყვის შემადგენელ ერთეულთა ანალიზი წარმოადგენს. ხმოვანი ნაკადიდან უნდა გამოდიფერენცირდეს ის ერთეულები (მარცვლები და ბგერები), რისგანაც შედგება სიტყვა. უნდა განისაზღვროს რომელია პირველი ბგერა, მომდევნო და ა.შ. ხმოვანი ერთეულების გამოდიფერენცირების შემდეგ მნიშვნელოვანია ამ ერთეულების ცალკეულ ფონემებად იდენტიფიცირება და მსგავსი ჟღერადობის ფონემისაგან განსხვავება. მაგალითად დაზუსტება იმისა, რომ სიტყვის „ქალი“ შემადგენელი ფონემებია - ქ, ა, ლ, ი და არა კ, ა, რ, ი. აღწერილ პროცესს წინადადებისა და სიტყვის ხმოვანი შემადგენლობის ანალიზი ეწოდება. ანალიზის შემდეგ, მნიშვნელოვანია სიტყვის შემადგენელი ერთეულების თანამიმდევრობით დამახსოვრება და მათი რიგის სწორად ჩაწერა. სიტყვის ჩაწერის შემდგომი ეტაპი ფონემების გრაფიკულ გამოსახულებებად (გრაფემებად) გადაყვანას გულისხმობს. ამისთვის კარგად უნდა გვქონდეს დასწავლილი, თუ როგორ გამოიყურება ფონემის შესაბამისი გამოსახულებები, უნდა აღვიდგინოთ ფონემის ხატი და ხელის შესაბამისი მოძრაობით გამოვსახოთ საჭირო ასო, ანუ შევძლოთ ფონემების გრაფიკული გამოსახვა (ჩაწერა). ლათინური შრიფტით ხშირად წერის დროს არასწორი ჟღერადობით გვამახსოვრდება სიტყვები (ჩვენტაგანს, ზალიან...) და სიტყვის ანალიზის შემდეგ ფონემების გრაფიკული გამოსახულებაც (გრაფემებად) გადაყვანაც შესაბამისად არასწორად ხდება.

სტუდენტთა ნაწერებზე დაკვირვების შედეგად გაირკვა ისიც, რომ უმრავლესობას კალიგრაფიის პრობლემა ჰქონდა. სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ ისინი უბრალოდ გადაჩვეულნი არიან ხელით წერას (ან საერთოდ არ წერენ, ან წერენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით) და შესაბამისად, მათი კალიგრაფია გაუარესებულია. ასე რომ, კალიგრაფიის გაუარესების ერთ-ერთ ფაქტორად ისტ-ის წერის საშუალებად აქტიური გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს. მოგეხსენებათ, კალიგრაფია ლამაზი წერის ხელოვნებაა, იგი ასწავლის ასოების სწორად და ლამაზად გამოყვანას. არსებობს გარკვეული წესი ესა თუ ის ასო როგორ დაიწეროს, როგორ მოიხაზოს. წერა ისეთი მოძრაობაა, რომელსაც საგანგებო შესწავლა სჭირდება. აუცილებელია მოტორული ჩვევების გამომუშავება. ასეთი მოტორული ჩვევა კი მიზნობრივი ხასიათის ვარჯიშს მოითხოვს. წერა წერით უნდა ისწავლოს მოსწავლემ და პრაქტიკულ ვარჯიშს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. წერის დასაწყის ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არ ჩატარებულა ვარჯიში, ხელი წერისათვის მოუქნელია, უხეში და არამყარი. როდესაც მოსწავლე თუ სტუდენტი გადაჩვეულია ხელით წერას, აქედან გამომდინარეობს კალიგრაფიული შეცდომებიც. ამდენად, კალიგრაფიის პრობლემები შესაძლოა გამოწვეული იყოს ნაკლებად განვითარებული ნატიფი მოტორული კოორდინაციით.

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წერის უნარ-ჩვევების შეზღუდვას *დისგრაფიას* უწოდებენ. ტერმინი დისგრაფია ზოგადად გამოიყენება ცუდი კალიგრაფიის შემთხვევასა და აზრის წერილობით გადმოცემის პრობლემის დროს [5]. ხშირად საკამათო ხდება განეკუთვნება თუ არ დისგრაფია სპეციალური განათლების სფეროს. დისგრაფია, რა თქმა უნდა, ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მოსწავლესა თუ სტუდენტს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები აქვს, თუმცა ზემოაღნიშნული წერითი მეტყველების დეფექტები, ვფიქრობთ, ნამდვილად საჭიროებს პროფესიული საზოგადოებისა ყურადღებას.

კალიგრაფიასა და მასზე ისტ-ის გავლენაზე მსჯელობის დროს, გვერდს ვერ ავუვლით იტალიელი ფილოსოფოსისა და მწერლის უმბერტო ეკოს წერილს, რომელიც რამდენიმე წლის წინ „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნდა. „კალიგრაფიის დაკარგული ხელოვნება“ - ასე ჰქვია პუბლიკაციას, რომელშიც უმბერტო ეკო კალიგრაფიის მნიშვნელობასა და მის უპირატესობაზე საუბრობს: „ვიღაცას ალპური მწვერვალების დაღამქვრა სჭირდება; ელექტრონული ფოსტის ხანაში ადამიანები მარკებს მაინც აგროვებენ; რა კარგი იქნება, მშობლები ბავშვებს კალიგრაფიული ხელოვნების სკოლებში აბარებდნენ, ხელწერის ასპარეზობებზე გზავნიდნენ მარტო იმისთვის კი არა, რომ ბავშვმა მშვენიერების შეგრძნება არ დაკარგოს, არამედ მისი ფსიქომოტორული გაწაფულობისთვისაც. დიახ, მართალია, ბავშვებს სატელეფონო გზავნილებისა და კომპიუტერის გამოყენებას ვერავინ აუკრძალავს, მაგრამ ისიც ხომ სიმართლეა, რომ კაცობრიობა სპორტს, ესთეტიკურ სიამოვნებებს, ცივილიზაციის მიერ არასავალდებულოდ მიჩნეულ ზოგ საქმიანობას მაინც ვერ შეეღობა“ [7].

გარდა კალიგრაფიული შეცდომებისა, უმრავლესი სტუდენტის ნაწერში აღინიშნება *ფორმალური შეცდომებიც*. ამ შემთხვევაში დამახინჯებულია ნაწერის ფორმალური მხარე, ე.ი. სათაური არ არის დაწერილი თავის ადგილას, აბზაცი სათანადოდ შეწყული არ არის, არ არის გამოტოვებული სიტყვებს შორის სათანადოდ არე და სხვა. გარდა ამისა, ყველაზე მეტ ყურადღებას საჭიროებს ის ფაქტი, რომ ასოსა და ასოს შორის თანაბარი მანძილი დარღვეულია, ასევე სიტყვასა და სიტყვას შორის. ნაწერში სიტყვები ერთმანეთზე ისეა გადაბმული, გეგონება ერთი სიტყვააო. მართალია, ამ ტიპის შეცდომა დაწყებით საფეხურზე მყოფი მოსწავლეებისთვისა არის დამახსიათებელია, მაგრამ, ვფიქრობთ, სტუდენტები უკვე ამ ტიპის შეცდომებს უშვებენ ისტ-ის გავლენით. ისინი კომპიუტერზე წერისას დროის მოგების მიზნით, სიტყვებს შორის ადგილს აღარ ტოვებენ, სტრუქტურას არ აქცევენ ყურადღებას. შედეგად ეს უყალიბდებათ ჩვევად და ხელით წერისას იმავეს იმეორებენ.

სტუდენტთა ნაწერების შესწავლისას დადგინდა, რომ მათ აზრის წერილობითი გადმოცემის ორი მთავარი პრობლემა აქვთ: პროდუქტიული და პროცესუალური. მათი მზა პროდუქტი (ნაწერი მასალა) შეიცავს მოკლე, არასრულ, გაუმართავ წინადადებებს, ერთისა და იმავე სიტყვის ხშირ გამეორებას. მასალა ხშირ შემთხვევაში არ არის სტრუქტურულად გამართული. ამის შემხედვარეს, გვებადება აზრი, რომ, ფაქტობრივად, ჩვენ დღეს ვცხოვრობთ „მესიჯების ეპოქაში“.

მართლწერის მხრივ ნაწერები ასევე შეიცავს ბევრ *მექანიკურ შეცდომას*: არასწორი ასოები, სასვენი ნიშნების არასწორად გამოყენება. ისინი ხშირად ერთმანეთში ურევენ ისეთ ასოებს, როგორცაა „ხ“ და „ძ“, „მ“ და „ნ“, „შ“ და „წ“. საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს:

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

1. წ/შ: წორის/შორის, მოიწველა/მოიშველა...
2. შ/წ: სახელშოდება/სახელწოდება...
3. ნ/მ → წ/შ: მოვუნოდებ/მოვუწოდებ...

ზემოთ მოცემული მართლწერის მექანიკური შეცდომები ცალსახად, მართალია, არ შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უარყოფითი ზეგავლენის შედეგად, მაგრამ ერთი რამ უდავოდ უნდა აღინიშნოს: მართლწერას, და ზოგადად გრამატიკას, სკოლაში დღესდღეობით იმაზე ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე უნდა ექცეოდეს. ამას ერთვის ისიც, რომ ინოვაციური ტექნოლოგიების კომუნიკაციისთვის, წერისთვის გამოყენებისას მხედველებაში არ იღებენ სასვენიშნებს თუ ორთოგრაფიის წესებს, შესაბამისად, დღეს უკვე ვიღებთ სტატისტიკურად უფრო მეტ შეცდომას.

ამრიგად, კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება უარყოფით ზეგავლენას ახდენს წერითი მეტყველების კულტურაზე. წერითი მეტყველების კალიგრაფიული, ფორმალური, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, სტილისტიკური თუ კომპოზიციური დეფექტების ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ისტ-ის წერითი დანიშნულებით გამოყენება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული *ჰიპოთეზა* შესაძლებელია შემოწმდეს მაშინ, როდესაც რესპოდენტთა დიდი შერჩევა გვეყოლება და შესაბამისად, წერითი ნამუშევარიც გაცილებით მეტი იქნება. ჩვენი შედეგებიც მხოლოდ მას შემდეგ გახდება რეპრეზენტატიული. ამჯერად, ჩვენი კვლევის მიზანი იყო პრობლემის დაზუსტება.

არ არის გამორიცხული ხელით წერა დავიწყებას მიეცეს და ბავშვებმა წერის ნაცვლად მცირე ასაკიდანვე დაიწყონ ამ მიზნით კომპიუტერის კლავიშების გამოყენება. ვიზიარებთ რა კომპიუტერის სიკეთეს, ამის მიუხედავად ვფიქრობთ, რომ მოსწავლეები თუ სტუდენტები მეტს უნდა წერდნენ ხელით. განსაკუთრებით სკოლამდელი ასაკის ყველა ბავშვისათვის აუცილებელია, განავითარონ მოძრაობითი ფუნქციები, რასაც ძალიან უწყობს ხელს წერა. აუცილებელია, მოსწავლეები მიეჩვიონ ხელით კოორდინირებული და ზუსტი მოძრაობების შესრულებას, რაც მნიშვნელოვანია წერისა და ხატვის ხელოვნების ასათვისებლად. ხელით წერა მოითხოვს მეტ დროსა და ყურადღების კონცენტრირებას, ამიტომაც ბავშვი უკეთ ითვისებს მასალას. ჩვენ სტატიაში საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ წერითი მეტყველების მნიშვნელობაზე და ამ საკითხს აღარ დავუბრუნდებით, უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ სწორედ ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, მასწავლებელმა უნდა იზრუნოს მოსწავლეებში წერითი მეტყველების განვითარებაზე. წერითი მეტყველების განვითარება, პირველ რიგში, თვით წერითი მუშაობის მრავალფეროვანი სახეების გამოყენების გზით ხდება. სასურველი იქნება, თუ მოსწავლეებსა თუ სტუდენტებს მიეცემათ დავალებები ხელით საწერად. ასევე, წერით მუშაობა უნდა გახდეს მართვადი და კონტროლირებადი პროცესი, რომელსაც აუცილებლად უნდა ხელმძღვანელობდეს მასწავლებელი. ამაში იგულისხმება: დავალების სწორად მიცემა, დროის მიხედვით წერითი მუშაობის ზუსტი დოზირება, შესრულების პროცესში საჭირო დახმარების გაწევა. ამის საფუძველზე მიიღწევა წერითი ნამუშევრების იდეურ-შინაარსობრივი, სტილისტიკური, გრამატიკული და ორთოგრაფიული გამართულობა. წარმოგიდგენილი მოკრძალებული

რეკომენდაციების გათვალისწინება და პრობლემის წინა პლამზე წამოწევა, ვიმედოვნებთ, საფუძველი, ბიძგის მიმცემი გახდება არსებული მდგომარეობის გამოსწორებისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წწ.;
2. გოგიჩაიშვილი თ., მოსწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგია, თბ. 2001 წელი;
3. ინასარიძე მ., ნაჭყებია მ., ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, საიმედო, თბ. 2006 წელი;
4. თოფურია ა., ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამცემლობა, თბ. 1991 წელი;
5. სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება, თბ. 2010 წელი;
6. სიხარულიძე ი., წერითი მეტყველების დეფექტები და მათი გამოსწორება, პედაგოგიკის სამეცნ.-საკვლ. ინსტიტუტი, თბ. 1938 წელი;
7. ეკო უმბერტო, კალიგრაფიის დაკარგული ხელოვნება, ინგლისურიდან თარგმნა ქეთი ქანთარია, ლიტერატურა - ცხელი შოკოლადი, თბ. 2009, N29, გვ. 10